

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2015 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 7 260 783.1 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 025 525.0 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 212 592.4 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 48 630.7 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 974 035.0 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-სექტემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (6 025 525.0 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (5 847 103.1 ათასი ლარი) 103.1%;

– გადასახადების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 484 595.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 5 602 569.7 ათასი ლარი (საპროგნოზო მოცულობის 102.2%);

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 221 151.8 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 325 443.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 104.7%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 407 207.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 466 540.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 104.2%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (858 670.0 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (813 944.0 ათასი ლარი) 105.5%;

„სხვა გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია შეადგინა 233.5 ათასი ლარი;

- ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 3 194 330.8 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 208 522.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.4%-ია; მათ შორის:
 - „დამატებული ღირებულების გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 550 646.3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 583 049.9 ათასი ლარი (საპროგნოზო მოცულობის 101.3%);
 - „აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 625 472.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (643 684.5 ათასი ლარი) 97.2%-ია;
 - ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 51 346.6 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 51 383.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.1%-ია;
 - „სხვა გადასახადების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 17 766.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 17 220.0 ათასი ლარი (საპროგნოზო მოცულობის 96.9%).
- გრანტების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 159 377.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 196 818.6 ათასი ლარი (რაც გეგმის 123.5%-ია); მათ შორის:
- ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 60 353.5 ათასი ლარი;
 - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 11 204.1 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;
 - საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 87 040.6 ათასი ლარი;
 - სხვა გრანტები (სსიპ - დან მიღებული) – 1 156.0 ათასი ლარი;
 - „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 37 064.4 ათასი ლარი.
- „სხვა შემოსავლების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 203 130.1 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 226 136.7 ათასი ლარი (საპროგნოზო მოცულობის 111.3%). მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ

მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 13 087.1 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2015 წლის იანვარ-სექტემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (212 592.4 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (176 771.8 ათასი ლარი) 120.3%;

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 48 630.7 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (50 739.5 ათასი ლარი) 95.8%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 48 626.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (50 739.5 ათასი ლარი) 95.8%;

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 4.2 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 974 035.0 ათასი ლარი (რაც გეგმის – 1 168 700.2 ათასი ლარის 83.3%–ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 330 484.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (400 000.0 ათასი ლარი) 82.6%–ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 643 550.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (768 700.2 ათასი ლარი) 83.7%–ია, მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი – 293 822.2 ათასი ლარი;

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 150 962.5 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 198 765.7 ათასი ლარი;

– 34 48 კოდზე (შემოსულობა ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) არასწორად ჩარიცხული თანხა – 0.5 ათასი ლარი;

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 177 266.4 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ

ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 534.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 434 413.5 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 434 238.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 175.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 ოქტომბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 783 670.5 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 783 354.4 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) 316.2 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების თანახმად – 172 835.1 ათასი ლარი და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად – 99 996.0 ათასი ლარი (სულ 272 831.1 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 349 257.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2015 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 025 525.0 ათასი ლარის მოცულობით (ცხრა თვის გეგმა 5 847 103.1 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 5 850 171.2 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა 6 001 400.8 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 175 353.7 ლარი (ცხრა თვის გეგმა -154 297.7 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 204 588.1 ათასი ლარი; მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 212 592.4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით შესრულებამ 417 180.6 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -29 234.4 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა -525 893.9 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №430 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 7 208 173.1 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 6 692 109.8 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 516 063.3 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 6 972 938.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 6 911 526.1 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 6 427 428.8 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 484 097.4 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99.1%, ხოლო გეგმის 95.9%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2015 წლის იანვარ-სექტემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 7%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-სექტემბერში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 034 894.7 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 019 718.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 008 126.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 97.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 709 846.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 669 507.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 649 849.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.1%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 91.5%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 253 223.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 236 541.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 236 541.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100.0%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 93.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 129 683.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (129 683.6 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 106 857.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (106 857.5 ათასი ლარი) 100.0%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 176 707.2 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა

175 990.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 173 883.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.8%-ს და გეგმის 98.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 17 830.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 17 830.0 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 918 604.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 916 847.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (917 970.8 ათასი ლარი) 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის 99.8%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2015 წლის იანვარ-სექტემბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 897 350.8 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (897 970.9 ათასი ლარი) 99.9%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2015 წლის იანვარ-სექტემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 065 272.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 066 129.8 ათასი ლარი) 100.0% და საგეგმო პარამეტრის (2 068 045.4 ათასი ლარი) 99.9%-ია.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 498 584.4 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 498 502.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 031 927.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 031 987.5 ათასი ლარი) 100% და გეგმის (1 031 992.2 ათასი ლარი) 100%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 453 500.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 453 489.3 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (453 500.8 ათასი 100%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 536 209.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 536 449.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 100% და ვალდებულების (536 492.6 ათასი ლარი) 100%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 840 077.9 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 812 650.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 799 650.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.4%-ს და გეგმის 95.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 312 755.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 310 507.0 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (312 231.7 ათასი ლარი) 99.4%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად

განისაზღვრა 49 000.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 49 000.0 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (49 000.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 548 368.1 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 430 213.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 417 180.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97%-ს და გეგმის 76.1%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 309 386.7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 254 155.7 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (252 099.6 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.2% და საგეგმო მაჩვენებლის – 81.5%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 313 140.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 303 237.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 303 235.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის 96.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 22 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 22 000.0 ათასი ლარი (ვალდებულების და გეგმის 100%); სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 41 000.0 ათასი ლარი (გეგმის და ვალდებულების 100%).

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 345 263.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 340 977.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 340 939.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100% და გეგმის 98.7%-ია. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 302 020.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (302 020.9 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 38 918.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (38 956.6 ათასი ლარი) 99.9%-ია.

ორგანიზაციული კოდეხის მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა

სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 13 914.2 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 13 487.3 ათასი ლარი;
 - „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა“ – 220.7 ათასი ლარი;
 - „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 206.2 ათასი ლარი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2015 წლის პირველი ოქტომბრისთვის შეადგინა 103.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2015 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 6 267 351.8 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 462 303.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 503 649.1 ათასი ლარი) 97.3%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 256 685.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (275 843.2 ათასი ლარი) 93.1% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.6%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა – 236 467.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (253 150.0 ათასი ლარი) 93.4% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 16.2%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 479 902.3 ათასი ლარის გამოყოფა;

გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 456 522.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (6 267 351.8 ათასი ლარი) 7.3%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 723 651.4 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 679 531.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 472 035.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (492 975.8 ათასი ლარი) 95.8%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (74 734.4 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (81 919.9 ათასი ლარი) 91.2%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 84 467.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (86 321.3 ათასი ლარი) 97.9%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 719 257.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 629 910.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.6%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (25 571.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (29 178.1 ათასი ლარი) 87.6%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (135 502.3 ათასი ლარი), გეგმის (138 443.5 ათასი ლარი) 97.9% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 456 901.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 386 659.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.6%.

გარემოს დაცვის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 32 061.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 29 825.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 41 464.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30 668.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 74%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 25 730.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 22 517.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.5%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 616 869.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 624 396.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.0%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 454 106.5

ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (453 988.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 100%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (104 531.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (94 325.2 ათასი ლარი) 110.8%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა 10 890.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (11 370.3 ათასი ლარი) 95.8%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 164 816.7 ათასი ლარით, რაც 2015 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (173 093.0 ათასი ლარი) 95.2%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 33 726.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (32 929.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 97.6%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 635 714.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 579 425.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.2% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.2%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 347 008.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (354 374.3 ათასი ლარი) 97.9%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 87 556.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (93 899.2 ათასი ლარი) 93.2%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 1 624 105.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 609 951.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.7%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1 032 216.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 032 143.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 467 248.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (469 010.8 ათასი ლარი) 99.6%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდაათოთხმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 2 986.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 754.4 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 1 232.5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდაჩვიდმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 68 809.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 65 285.5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 ოქტომბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 524.2 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაცხრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 269 720.4 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 267 076.4 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 ოქტომბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 2 644.0 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 11 771.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 11 625.4 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 6 899.5 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 582.2 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 5 682.8 ათასი ლარი (გეგმა – 6 000.0 ათასი ლარი); სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საგარეო-სხვა

კრედიტორული დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 899.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა – 899.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16 000.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 334.9 ათასი ლარი; აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 174.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 174.7 ათასი ლარი), ხოლო სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 11 967.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 11 967.6 ათასი ლარი).

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებშიც) (გეგმა – 839.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 533.5 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 3 334.9 ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.